არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

ანგარიში

განხორციელებული ღონისძიებები 2021 წლის 1 იანვრიდან 16 ივნისის ჩათვლით

1. პროექტი PRINTeL - ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული ონლაინ ტრეინინგი

2021 წლის 5-29 აპრილს, Erasmus+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიგეგმა სწავლების ინოვაციურ მეთოდებთან დაკავშირებული მორიგი სერტიფიცირებული ტრეინინგკურსი

არსებული პანდემიის პირობებში ტრეინინგები Zoom პლატფორმის საშუალებით ონლაინრეჟიმში ჩატარდა.

ტრეინინგების მიზანია უნივერსიტეტში აკადემიური სწავლების ხარისხის გაზრდა; აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა; აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების ზრდა მათი ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის, კომპეტენციებსა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარებით; სწავლის შედეგების გაუმჯობესება.

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული ტრეინინგები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის ხელშეწყობით წარიმართა.

2021 წლის 23 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი - **Video as a learning tool for remote emergency teachers**
ტრენინგს გაუძღვა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე
ტრენინგი მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში 23 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით ონლინ ზუუმ პლატფორმის მეშვეობით;
ტრენინგების დასრულების შემდგომ მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.





2. სემინარი "ურბანული სისტემის მოდელირება და მართვა ერთიანი, ინტეგრირებული ვებპლატფორმის ბაზაზე. "ჭკვიანი ქალაქის" კონცეფცია" სტუდენტური სამეცნიერო პროექტი

2021 1 აპრილს, 21 საათზე, ჩატარდა სემინარი "ურბანული სისტემის მოდელირება და მართვა ერთიანი, ინტეგრირებული ვებპლატფორმის ბაზაზე. "ჭკვიანი ქალაქის" კონცეფცია" (მომხსენებელი მერაბ ახობაძე). ორგანიზატორები : ახალგაზრდთა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობათა ხელშემწყობთა ცენტრი " და არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიაზაინის ფაკულტეტი.
ZOOM -ის ოთახში
ID 330 270 5487
პაროლი 2020

3. მორიგი სემინარი: "ერთიანი ვებსისტემის თაობაზე და ჭკვიანი ქალაქის მოდელირებისა და მართვის საკითხებზე".

2021 წლის 14 აპრილს, 21 საათზე, გაიმართა მეორე სემინარი: "ერთიანი ვებსისტემის თაობაზე და ჭკვიანი ქალაქის მოდელირებისა და მართვის საკითხებზე".

სემინარს გაუძღვა ბატონი მერაბ ახობაძე

პროექტში ჩართული პერსონები: ინფორმატიკოსები და არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დოქტორანტები: ოთარ მჭედლიშვილი, რატი კუპატაძე, გოგიტა მეგრელიშვილი (მომავალი ურბანისტები, ჩვენი სემინარის მონაწილეები).

"შეხვედრის დღის წესრიგი.
1. პასუხების გაცემა იმ კითხვებზე, რომლებიც, გაჩნდა პირველი სემინარის დროს წარმოდგენილ მასალაზე,
2. მოხდება მიმოხილვა იმ სისტემებისა, რომლებიც ქალაქის, ურბანული სისტემების მათემატიკურ მოდელირებისა და მართვის საკითხებს ეხება.

დაწვრილებით განიხილება ერთიანი ინტეგრირებული ვებსისტემის არსი, როგორც "ჭკვიანი ქალაქის" მათემატიკური მოდელირებისა და მართვის პლატფორმა. გავარჩევთ მოდელირებისა და მართვის მაგალითებს.
3. მოგისმენთ თქვენ, რა მიმართულებით რა საკითხებზე, პრობლემებზე მუშაობთ, ჭკვიანი ქალაქის პროექტირებისა და მართვის მიმართულებით.
4. დავგეგმავთ სამომავლო გეგმებს, რომელსაც გავაცნობთ პირველი შეხვედრის მონაწილეებს.



4. სტუდენტური პრაქტიკა: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რესტავრაცია- რეკონსტრუქცია

2021 წლის 12 აპრილი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტს და კომპანია „არტტექს“ შორის 2021 წლის 12 აპრილს გაფორმდა მემურანდუმი, რომელიც კონკრეტულ მიზანს ისახავდა. კერძოდ: ქ. თბილისში რომის ქ. №4-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეკოსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებში მონაწილეობის მიღებას.

მემურანდუმის ფარგლებში ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები გაეცნობიან საერთაშორისო სტანდარტებს მშენებლობასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, დახელოვნდებიან სამშენებლო სფეროს შრომის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვის სისტემაში. დაესწრებიან და მონაწილეობას მიიღებენ კულტურულმემკვიდრეობითი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ: -

გარე ფასადისა და გუმბათის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია; - ფასადზე არსებული მხატვრული დეტალების აღდგენითი პროცესი; - შენობის შიდა ეზოს ხის სამუშაოები; - ლითონის ჭედური ნაკეთობების დამზადების პროცესი.

10 დღის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა სტუდენტებისთვის რესტავრაციის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის ტრენინგი სტუდენტები აქტიურად გადიან თეორიასა და პრაქტიკას მონაწილეობას იღებენ: 1.ჭედური ნაკეთობების დამზადება - მონტაჟში 2.ხის დეკორატიული ჭვალური აივნების მონტაჟში 3.საფასადე ხარაჩოების დამზადებაში 4.ფასადის მხატვრული ორნამენტების რესტავრაციის პროცესში ტრენინგები დასრულდა 2021 წლის 22 აპრილს . ტრენინგების დასრულების შემდგომ ყველა სტუდენტს გადაეცა სერთიფიკატები. ამდენად, სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს რომის ქუჩა 4-ში მდებარე კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროცესში, რომლის სამუშაოებსაც კომპანია „არტტექსი“ ახორციელებს.

მადლობას ვუხდით Arttex Development -ის ყველა თანამშრომელს, მის ხელმძღვანელს ბატონ დავით დვალს და სტუდენტებს, მათ ხელმძღვანელს უნივერსიტეტის მხრიდან ასოცირებულ პროფესორს ბესარიონ ტატიშვილს გაწეული შრომისთვის.

სტუდენტები რომლებმაც გაიარეს ტრენინგი: 1. იოსებ მათიაშვილი 6704 2. თეიბურაზ გაბუნია 6704 3. მარიამ ცერცვაძე 6704 4. თორნიკე დოხნაძე 6703 5. სოფიო გივიშვილი 6703 6. ქეთევან მაჭარაშვილი 6703 7. მარიამ ნიაური 6705 8. მარიამ ბაცანაძე 6705 9. მარიამ ლომიძე 6705 10. ანასტასია კენჭაძე 6700 11. გოგიტა მეგრელიშვილი 6703

5. ქ. მცხეთის გენერალური გეგმის პრობლემატური საკითხები

ურბანისტ ლადო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია

2021 წლის 10 ივნისს 14 საათზე აქოლისის ორგანიზაციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ინიციატივით გაიმართა არქიტექტურის დოქტორის, საერთაშორისო ექსპერტის, ურბანისტ ლადო ვარდოსანიძის საჯარო ლექცია "მცხეთის გენერალური გეგმის პრობლემატური საკითხები".

ლექცია მოიცავდა ქ.მცხეთის კონცეპტუალური განვითარების საკითხებს. აკადემიურ ფორმატში განხილული იყო ურბანული განვითარების თეორიული , ორგანიზაციულ - ადმინისტრაციულ- ტექნიკური მხარეები

წარმოჩენილი იყო ქალაქგეგამრებითი, მულტიდისციპლინარული მიდგომის მნიშვნელობა ქალაქის სივრცითი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას.

სტუდენტებისთვის გაზიარებული იყო ქ.მცხეთის ტურისტული განვითარების ავტორისეული ხედვა.

ამ მხრივ მონაწილეების მიერ გამოითქვა მზაობა მომავალში თანამშრომლობისა მცხეთის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით სასწავლო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციასა და უმაღლესი განათლების დაწესებულებასთან. საჯარო ლექციების, ვორქშოპებისა და კლაუზურების, გამოფენების, ურბანული საზაფხულო სკოლის ორგანიზაბის სახით.

ლექციაზე ავტორმა ფართოდ გააშუქა მცხეთის მნიშვნელობა ქვეყნისა და ქ. თბილისის აგლომერაციის განვითარების ჭრილში. სატრანსპორტო ანალიზის, მწვანე კორიდორების, სარეკრეაციოსივრცის, ლანდშაფტის, განვითარების კუთხით.



6. სასერთიფიკატო ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის BIM ტექნოლოგიებში

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, 2021 წლის 11 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით, საგანმანათლებლო პლატფორმაზე Learn, არქიტექტორებისთვის BIM გადაწყვეტების წამყვანი კომპანია GRAPHISOT-ის თაოსნობით, GRAPHISOFT Learn ჯგუფის მიერ, ჩატარდა სერთიფიცირებადი ტრეინინგი "BIM для архитектора. Базовый уровень" (კურსი მოიცავდა 4 სასწავლო კვირას - 40 ასტრონომიულ საათს).







აღნიშნული აქტიობების შესახებ ინფორმაციები განთავსებულია, როგორც ფაკულტეტის ვებგვერძე ასევე სოციალურ ქსელ ფეისბუქში

1.20201 წლის 15 ივლისი - სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცი: „არქიტექტურის და ქალაქგეგმარების თანამედროვე პრობლემები“;

7. **არქიტექტურული ფოტო კონკურსი „ჟირაფი“**

კონკურსი გამოცხადდა 2021 წლის 1 ივნისს სამ ნომინაციაში:„არქიტექტურა დეტალებში“; „თანამედროვე არქიტექტურა ისტორიულ განაშენიანებაში“; „თანამედროვე ეზო“; 2021 წლის 15 ივლისი - სტუდენტური ფოტო კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდა.

2021 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის და სტუ-ის ფაბლაბის ორგანიზებით, სტუდენტთა პირველი არქიტექტურული ფოტოკონკურსი **„ჟირაფი - 2021“** ჩატარდა.



პოსტერის ავტორები: მარიამ ღვინეფაძე და დეა ხიზანიშვილი, იდეა „ჟირაფის“ გუნდი (ნ. იმნაძე, მ. ფოჩხუა, შ. გელაშვილი, დ. ბოსტანაშვილი)

ფოტოკონკურსში, რომელშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, თავისუფალი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები მონაწილეობდნენ, სამ ნომინაციაში: „არქიტექტურა დეტალებში“, „თანამედროვე არქიტექტურა ისტორიულ განაშენიანებაში“ და „თანამედროვე ეზო“ 117 ფოტონამუშევარი იყო წარმოდგენილი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ნინო იმნაძის განცხადებით, კოვიდპანდემიის მიუხედავად, ახალი კონკურსით მრავალი სტუდენტი დაინტერესდა, რაც უკვე საფუძველია იმისა, რომ კონკურსმა ტრადიციული ხასიათი მიიღოს.

„ჩვენთვის გასაოცრად სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ პანდემიის ფონზე არქიტექტურულ ფოტოკონკურსს, რომელიც წელს პირველად ჩავატარეთ, სტუდენტთა მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სწორედ ამიტომ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ არქიტექტურული ფოტოკონკურსი „ჟირაფი“ ტრადიციად ვაქციოთ და მომავალში წელიწადში ორჯერ, საახალწლოდ და საზაფხულოდ გავმართოთ. კონკურსში ჩართული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბლაბი, რომელმაც გამარჯვებული ფოტონამუშევრების 3D ფორმატში გადატანა უზრუნველყო. საინტერესო და კონცეპტუალური საკონკურსო პოსტერი შეიმუშავეს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტებმა - მარიამ ღვინეფაძემ და დეა ხიზანიშვილმა. ეს კუბიკებით აწყობილი ჟირაფია, რომელშიც, კონკურსის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულ სტუდენტთა ფოტოები განთავსდა. აღსანიშნავია, რომ ჟიურის ერთ-ერთი წევრი ჩვენი კურსდამთავრებული, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე არქიტექტორი ვანო ქათამაშვილი იყო, რომელიც დისტანციურად იყო ჩართული გამარჯვებული ფოტონამუშევრების გამოვლენის პროცესში. ყველა მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატები, ხოლო პანდემიური ვითარების გაუმჯობესების შემდეგ კონკურსის დახურვის ცერემონიასაც ჩავატარებთ და გამარჯვებულებს სპეციალურ პრიზებს გადავცემთ“, -

სტუ არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის განმარტებით, კონკურსში ჩართვა შესაძლებელი იყო, როგორც მომავალი არქიტექტორებისთვის, ასევე განსხვავებული პროფესიის სტუდენტებისთვის. თითოეულ მონაწილეს 5-5- ფოტო უნდა წარმოდგინა. 117 საკონკურსო ნამუშევრიდან ჟიურიმ საუკეთესოდ 10 მიიჩნია.

2021 წლის 1 ივლისს დასრულდა კონკურსი და ნამუშევრების მიღება. ჟიურიმ იმუშავა და გამოავლინა გამარჯვებულები. ჟიურის წევრები: თავმჯდომარე ნინო იმნაძე, წევრები: დავით ბოსტანაშვილი, მარიკა ფოჩხუა, შოთა გელაშვილი, სტუ-ს ფაბლაბის ხელმძღვანელი გიორგი ფრანგიშვილი, ნათია ქოჩლაძე, მოწვეული ექსპერტი და ჟიურის წევრი სტუ-ს კურსდამტავრებული, ამერიკაში მოღვაწე არქიტეტორი ივანე ქათამაშვილი, მაგისტრანტურის საფეხური სტუდენტები: მარიამ ღვინეფაძე და დეა ხიზანიშვილი;

პირველ ადგილზე გავიდა სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტი **თეო კესარელი;** მეორე ადგილზე - სტუ-ის სტუდენტი **ანა გოშთელიანი** და სამხატვრო აკადემიის სტუდენტი **თამუნა ჩერქეზიშვილი,** ხოლო მესამე ადგილზე - სტუ-ის სტუდენტი **ანასტასია დევდარიანი** და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი **ერეკლე სამსონია.** სპეციალური პრიზების - „ჟიურის რჩეული ფოტო“ და „ფაბლაფის რჩეული ფოტო“ - მფლობელები სტუ-ის სტუდენტები - **მარიამ ხაზალია** და **თეკლა კანდელაკი** გახდნენ.



ავტორი თეონა კესერელი - 1 ადგილი





ავტორი ანი გოშთელიანი 2 ადგილი

თამუნა ვერძეზიშვილი, თსს აკადემია, 2 ადგილი

ავტორი ანასტასია დევდარიანი, 3 ადგილია; ერეკლე სამსონია, თავისუფალი უნივერსიტეტი

ავტორი თეკლა კანდელაკი ფაბ-ლაბის რჩეული

ავტორი მარიამ ხაზალია ჟიურის რჩეული

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ დავით გურგენიძის განცხადებით, შექმნილი პამდემიური მდგომარეობის მიუხედავად, საუნივერსიტეტო სივრცეში კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი და სასიხარულოა, რომ სტუდენტთა არქიტექტურული ფოტოკონკურსი, კრეატიული სახელწოდებით - „ჟირაფი“, ერთ-ერთი წარმატებული პროექტი აღმოჩნდა.

„იმ დროს, როდესაც ქვეყანაში რთული პანდემიური ვითარებაა, საუნივერსიტეტო სივრცეში სრულიად ახალი სტუდენტური კონკურსის დაარსება და მისი კარგად ორგანიზება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მსგავსი ღონისძიებები და აქტივობები უზრუნველყოფს ჩვენი სტუდენტების პროფესიონალიზმისა და მოტივაციის ამაღლებას, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდის პროცესში. სტუდენტები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ უნივერსიტეტი მათ მომავალზე ფიქრობს, ზრუნავს. შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, ახალგაზრდა თაობა არ უნდა მოდუნდეს, არ უნდა დაყაროს ფარ-ხმალი და არ უნდა ჩამოშორდეს აქტიურ პროფესიულ საქმიანობას. სწორედ მსგავსი ღონისძიებები - სტუდენტური კონკურსები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა ტიპის აქტივობები კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მზაობას, მისცეს სტუდენტს მაღალკვალიფიციური, ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება. წარმატებას ვუსურვებ ჩვენს კოლეგებსა და სტუდენტებს, მათ, ვინც საქართველოს აღმშენებლობის საქმეში თავისი ღირსეული სიტყვა უნდა თქვას“, - აღნიშნა რექტორმა დავით გურგენიძემ.

ყველას დიდ მადლობას გიხდით კონკურსში მონაწილეობისთვის და საინტერესო ფოტოების გაზიარებისთვის!

განსაკუთრებული მადლობა სამხატვრო აკადემიის, თავისუფალი უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებმაც გაიზიარეს იდეა და ჩაერთვნენ ჩვენს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში. ყველა მონაწილეს გაეგზავნება ელექტრონული სერთიფიკატი და პოსტერი, ხოლო გამარჯვებული მიიღებს სამახსოვრო პრიზს !

„ჟირაფი"-ს გუნდი

კოლაჟი



არქიტექტურული სტუდენტური ვორწშოფი: „ფრენის მემკვიდრეობა“

2021 წლის 1,2,3, ივლისს - სტუდენტური ვორქშოფი: „ფრენის მემკვიდრეობა“ პროექტი ეძღვნება ბატონ ვაჟა გელაშვილის ხსოვნას, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომავალ არქიტექტორთა პროფესიული დახელოვნებისთვის ყოველწლიური კონკურსი დაარსდა

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ღონისძიება სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა პირველ დღეს ნაჩვენები იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც მოამზადეს თავად სტუდენტებმა. იგი მიეძღვნა ვასჟა გელაშვილის შემოქმედებას, ფილმში ნაჩვენები იყო მის მიერ დაპროექტებული ობიექტები, კოლეგების მოგონებები და სხვა. შემდეგ გაიმართა პრეზენტაციები, პირველ რიგში წარმოდგენილი იყო ვჟა გელაშვილის

შემოქმედება, მისი სწავლების მეთოდიკა, სრუდენტური ნამუშევრების მიმოხილვა. და პროფესორების მასტერკლასები.

1.მაია დავითაია „არქიტექტურული ასოციაციები არქიტექტურული პროექტირების სწავლების პროცესში“
2.ვახტანგ დავითაია „კონტექსტი არქიტექტურაში“
3.ქეთევან კინწურაშვილი „ დავით კაკაბაძე და თანადროული მსოფლიო ავანგარდული ხელოვნება “
4. ვანდა მუჯირი “ სუპრემატიზმი, როგორც ინსპირაცია“
5. დავით ბოსტანაშვილი „ოცნების ფორმა და ფორმალური ოცნება“

პანდემიის პირობებში ვირტუალურ სამყაროში გამოკეტილი სტუდენტებისთვის (და არა მხოლოდ) შეიქმნ რეალური სივრცე, სამ დღიანი ტური ხელოვნების სამყაროში ვორქშოფის სახით.
რას გთავაზობთ ვორქშოფი?
ვორქშოფი გთავაზობთ პროფესორების მინი მასტერკლასებსა და საინტერესო ლექციებს, სივრცულ არქიტექტურაში მუშაობისა და იდეების რეალიზაციის სხვადასხვა მეთოდებს, პრაქტიკულ სამუშაოებს, სადაც საშუალება მოგეცემათ თქვენი წარმოსახვა ხელშესახებ ხელოვნებად აქციოთ.
ვორქშოფის ფარგლებში ჩატარდება კონკურსი, რომელიც მოგცემთ საშუალებას გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები, მიიღოთ გამოცდილება, გამოიმუშავოთ კონკურენტუნარიან გარემოში მუშაობის უნარი და გაიცნოთ საინტერესო და გამოცდილი ადამიანები.
რას გთავაზობთ ჩვენ?
სერთიფიკატებს ყველა მონაწილისათვის!
სერთიფიკატებსა და პრიზებს ყველა გამარჯვებულისათვის!
სიურპრიზებს ყველასთვის!
არანაირი ბილეთები და დასწრების საფასური!
დასწრება და კონკურსში მონაწილეობა უფასოა!
ღონისძიებაზე დასწრებისა და მონაწილეობის მსურველებმა აუცილებლად უნდა გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია 30 ივნისის ჩათვლით.

ვორქშოფი ჩატარდა 2-3-4 ივლისს.
საორგანიზაციო ჯგუფი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 6700 ჯგუფის სტუდენტები: ბერძენიშვილი გვანცა, დავითაძე ნინი, კენჭაძე ანასტასია, ტიმოშენკო ნიკიტა, ჭიკაძე თორნიკე, ხაზალია მარიამი.
განსაკუთრებული მადლობა თანადგომისთვის არქიტექტურის ფაკულტეტს, დეკანატს, ადმინისტრაციასა და თვითმართველობას.

ფილმი ეძღვნება ვაჟა გელაშვილის ფრენის მემკვიდრეობას

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივით, მათივე ორგანიზებითა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ღონისძიება - „ფრენის მემკვიდრეობა“ გაიმართა, რომელიც ცნობილი კონცეპტუალისტი არქიტექტორისა და პედაგოგის, ვაჟა გელაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ამის შესახებ ინფორმაციას სტუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, ღონისძიება მიზნად ისახავდა მომავალ არქიტექტორთა პროფესიულ დახელოვნებას, შემოქმედებითი თავისუფლების განვითარებას და კლიშეებისაგან თავისუფალი აზროვნების შედეგად შექმნილი ნამუშევრებისა და პროექტების შექმნა-დემონსტრირებას. სტუდენტების ინიციატივითა და ორგანიზებით გამართული ღონისძიება - „ფრენის მემკვიდრეობა“ სამი ნაწილისგან შედგებოდა: არქიტექტორ ვაჟა გელაშვილის ნამუშევრების გამოფენა, სალექციო კურსი და ვორქშოფი პოსტერისა და არქიტექტურული მოდელის შესაქმნელად. ღონისძიებაში ხუთ-ხუთი სტუდენტით დაკომპლექტებული 6 ჯგუფი მონაწილეობდა.

როგორც საქართველოს ტექნიკური უნვერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნინო იმნაძემ აღნიშნა, ფაკულტეტისთვის სასიხარულოა, რომ სტუდენტებმა თვითონ ითავეს და პროფესიონალურ დონეზე დაორგანიზებული, ამავდროულად, ემოციურად ძალიან შთამბეჭდავი და მრავალკომპონენტიანი ღონისძიება ჩაატარეს. დეკანის თქმით, ორმაგად სასიხარულო ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ სტუდენტებმა აღნიშნული ღონისძიებით ახლახან გარდაცვლილი შესანიშნავი არქიტექტორისა და პედაგოგის, ვაჟა გელაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს და ღონისძიებით ის მთავარი პრინციპები, შემოქმედებითი კონცეფცია და მიდგომები წარმოაჩინეს, რომელსაც ვაჟა გელაშვილი სწავლების პროცესში თავისი სახელოსნოს სტუდენტებს უზიარებდა.

„ჩვენმა სტუდენტებმა თორნიკე ჭიკაძემ, გვანცა ბერძენიშვილმა, ნინი დავითაძემ, ნიკიტა ტიმოშენკომ და ანასტასია კენჭაძემ სერიოზულ ღონისძიებას ჩაუყარეს საფუძველი და ამით ცნობილი არქიტექტორისა და პედაგოგის - ვაჟა გელაშვილის ამაგი დააფასეს. არც „ფრენის მემკვიდრეობაა“ ამ ღონისძიების შემთხვევითი სახელწოდება. მიზანი სწორედაც რომ კლიშეების მსხვრევა და შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვებაა იმისთვის, რომ ღირებული ნამუშევარი შეიქმნას, რომ სტუდენტი ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდეს და რეალურად უპასუხოს ეპოქის მოთხოვნებს. ვაჟა გელაშვილის სწავლების პრინციპი სწორედ

შემოქმედებითი თავისუფლების ფილოსოფიას ემყარებოდა. მადლობას ვუხდით ვაჟა გელაშვილის ოჯახს, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა, ღონისძიების პირველ ნაწილში ჩვენი კოლეგის სრულიად უცნობი, უნიკალური ნამუშევრების გამოფენა მოგვეწყო. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა 2-დღიანი სალექციო კურსი არქიტექტურისა და ურბანისტიკის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, მოეწყო ვორქშოფი, რომელიც მიზნად ისახავდა იდეების როგორც გრაფიკულად, პოსტერის სახით წარმოდგენას, ასევე არქიტექტურული მოდელის, მაკეტის შექმნას სხვადასხვა მასალის გამოყენებით. საერთო ჯამში, ღონისძიებაში 30-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც. გამარჯვებული სტუდენტური ჯგუფი ორივე ნომინაციაში ჟიურიმ გამოავლინა, დაჯილდოების ცერემონია კი ღია სივცეში, მზიურის პარკში შედგა. ჟიურის წევრები იყვნენ როგორც ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებია, ასევე მოწვეულები, მათ შორის არქიტექტურული ასოციაციის პრეზიდენტი, ჟურნალ „სტილის“ რედაქტორი ნინო ლაღიძე. აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში სტუდენტებმა არაჩვეულებრივი ნამუშევრები შექმნეს, სრულიად გამორჩეული მკვეთრი ინდივიდუალიზმით. თბილისის მერიასთან შეთანხმებით, უახლოეს მომავალში, გამარჯვებული პოსტერის მიხედვით, თბილისის ერთ-ერთ უბანში დიდი კედელი მოიხატება“, - აღნიშნა ნინო იმნაძემ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია და სტუდენტები გეგმავენ, რომ ღონისძიება - „ფრენის მემკვიდრეობა“ ტრადიციული და მეტად მასშტაბური გახადონ. მათი გადაწყვეტილებით, ღონისძიება და შესაბამისად, კონკურსი ყოველწლიურად ივლისის თვეში გაიმართება.

ფოტოკოლაჟი

გამარჯვებული პროექტი

სტუდია „არქიტეტურის პოეტიკა“

განხორციელდა სტუდენტური პროექტი „თეატრის წგრევა“ - ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი დავით ბოსტანაშვილი



სიმონ ოსიპოვი

გიორგი ხელაძე



ირაკლი გაბაშვილი

სალომე გაბედავა



თეკლე კანდელაკი
პროექტი ლაბირინთი



თეო კესერელი **ნინი პატარკაციშვილი**

მომზადდა ელექტრონული წიგნი „არქიტექტურის პოეტიკა“ ავტორი დავით ბოსტანაშვილი

4.ქართულ-გერმანული პროექტი „რკინის გზის სადგურის პროექტი ქ. თბილისის მერიასთან ერთად“

პროექტის დასწყისი - 2021 წლის 11 ოქტომბერი და დასრულება *2022 წლის 14 თებერვლი*

პრეზენტაციის ფრაგმენტი



ცენტრალური რკინიგზის სადგურის მოედანი

სტუდენტური კონკურსი

<u>**შინაარსი**</u>

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (TUDA) ახორციელებს დიდ ცვლილებებს მდგრადი მობილობის განვითარებისათვის და ამ მიზნით მუნიციპალიტეტმა გადადგა საბოლოო ნაბიჯები ქალაქის მდგრადი ურბანული მობილობის პირველი გეგმის (SUMP) კონსოლიდაციისათვის. დოკუმენტი გვთავაზობს ქალაქის ფარგლებში სატრანსპორტო სისტემების სტანდარტიზებულ, ინტეგრირებულ და დაგეგმილ განვითარებას, რაც გამოიწვევს ავტომობილებზე დამოკიდებულების, გამონაბოლქვისა და

ტრანსპორტისაგან გამოწვეული ხმაურის შემცირებას. სწორედ ამ შედეგების მისაღწევად მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა ქალაქს სთავაზობს 5, 10 და 20 წლიან სამოქმედო გეგმას. გარდა ამისა, თბილისის მუნიციპალიტეტმა 2019 წელს მიიღო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა ქალაქი გახდეს უფრო გამწვანებული, კომპაქტური და უკეთ შეკავშირებული.

დოკუმენტი პრიორიტეტს ანიჭებს ქვეითების ინტერესებს კერძო ავტომობილებთან შედარებით და იგი ფოკუსირებულია მდგრადობაზე, ასევე აქტიურ მობილობასა და კარგად შეკავშირებული ქალაქის იდეაზე. სწორედ ამიტომ, TUDA-ს სურს ჩამოაყალიბოს ჩამოთვლილი ტერიტორიების გრძელვადიანი მდგრადი ხედვა. ერთ-ერთი ასეთი ტერიტორია მოიცავს ცენტრალური რკინიგზის სადგურის მთავარ მოედანს.

<u>ადგილმდებარეობა</u>

საზოგადოებრივი სივრცის ამჟამინდელი გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა ხელმისაწვდომობას თამარ მეფის გამზირიდან რიკინიგზის სადგურის ან მეტროსადგურისაკენ, რაც აღნიშნულ ტერიტორიას ხდის სახიფათოს მოხუცებისა და ბავშვებისათვის. მოედანი დადიანის ქუჩასთან დაკავშირებულია მთავარი დარბაზით, რომელიც წარმოადგენს რკინიგზის სადგურისა და სავაჭრო ცენტრის ნაწილს. ამ სივრციდან რამდენიმე გასასვლელი დაკავშირებულია პლატფორმებთან. ერთ-ერთი ასეთი პლატფორმა პირდაპირ არის დაკავშირებული მიმდებარე მოედანთან, რომლის ტერიტორიაც ფეხით მოსიარულეთათვის სახიფათოა. აღნიშნულ სივრცეს მგზავრები მატარებლიდან ავტობუსში, მეტროსა და ტაქსიში გადასასხდომად იყენებენ. მაღაზიები (უმეტესობა მიტოვებულია), რომლებიც მთავარი მოედნის მიწის ქვეშ მდებარეობს, მუდმივად ხდება ვანდალიზმის სამიზნე და ის ყველასათვის სახიფათო გარემოს წარმოადგენს. ყოველივე ზემოთ თქმული მიმდებარე ტერიტორიაზე იწვევს ისეთ ემისიებს როგორიცაა, ხმაური, გამონაბოლქვი და საბოლოო ჯამში ადგილობრივი მაცხოვრებლების ცხოვრების დონის შემცირებას.

სურათი 1: პროექტის პერიმეტრი

Tbilisi City Hall | Transportand Urban development agency

Study Area

Registered Land

Scale 1:500

0 0.02 0.04 0.08 0.12 0.16 კმ

N E S W

სურათი 2: მიწის საკუთრება



<u>მიზანი და პროგრამის ფორმატი</u>

კონკურსის მიზანია მონაწილეებმა წარმოადგინონ გრძელვადიანი მდგრადი კონცეფციის ხედვა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ქალაქის მთავარი კარიბჭის წინ ხარისხიანი საზოგადოებრივი სივრცის შექმნაზე. ეს შესაძლებელი გახდება, თუკი მოხდება ისეთი პროექტის შემუშავება, რომელთა დიზაინშიც აისახება ერთ-ერთი ყველაზე დაუფასებელი საზოგადოებრივი სივრცის მომავლის აღქმა, რომელიც საჭიროებს მკვეთრ ცვლილებებს, მათ შორის, კლიმატური ცვლილებების რისკის, ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის გათვალისწინებას. ინკლუზიური დიზაინის განხორციელებასთან ერთად, სქემაში ასახული უნდა იყოს გამწვანება, საჯარო სივრცეები, დაჩრდილული ადგილები, ავტობუსების ტერმინალის გადააზრება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პლატფორმის გამარტივებული კავშირი ავტობუსების ტერმინალის ზონასთან. ასევე, წინადადება აშკარად უნდა იყოს ორიენტირებული აქტიურ მობილობასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტთან (PT) დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაზე. **სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს თბილისის ყველა ავტორიზებულ უნივერსიტეტს, რომლებშიც ისწავლება არქიტექტურა და ურბანული დაგეგმარება.** მოწვეულ უნივერსიტეტებს ევალებათ გაავრცელონ აღნიშნული ინფორმაცია ყველა უფლებამოსილ სტუდენტზე. დაინტერესებულმა სტუდენტებმა უნდა შექმნან ჯგუფები 3-5 პირის შემადგნელობით. უნივესიტეტმა თითოეულ ჯგუფს უნდა გამოუყონ

მენტორი. არ არსებობს შეზღუდვა ჯგუფების რაოდენობასთან დაკავშირებით, მთავარია ისინი აკმაყოფილებდნენ ქვემოთ მოცემულ დასაშვებობის კრიტერიუმებს:

1. *ყველა მონაწილეს უნდა გააჩნდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი*
2. *ყველა მონაწილე სუტდენტს მინიმუმ უნდა ჰქონდეს საბაკალავრო საფეხურის 3 კურსი მაინც დახურული, არქიტექტურისა ან/და ურბანული დაგეგმარების მიმართულებით.*

<u>ჟიური</u>

მერის მოადგილე

სააგენტოს უფროსი

არქიტექტურის სამსახურის უფროსი

მოწვეული არქიტექტორი

მოწვაული ურბანისტი

მოწვეული ტრანსპორტის სპეციალისტი

მოწვეული ლანდშაფტის არქიტექტორი

<u>პრიზები</u>

პირველი ადგილი 500 ევრო

მეორე ადგილი 300 ევრო

მესამე ადგილი 200 ევრო

1. თითოეული ნამუშევარი განთავსდება სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.
2. პროექტი გაშუქდება მედიასაშუალებებით.

<u>წარმოსადგენი მასალები</u>

კონკურსში მონაწილეობისათვის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალები:

1. n. 1 A1 დაფა (841 x 594 მმ) pdf ფორმატში, მაქსიმალური ზომა10 მბ, ჰორიზონტალური და ვერტიკალური განლაგება. ეს განლაგება უნდა შეიცავდეს:
    a. დიზაინის კონცეფცია /კონცეპტუალური იდეა;

b. გრაფიკული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს პროექტის ილუსტრირებას (მაგ. გეგმები, ფასადები, განივი მონაკვეთები) - რა აჩვენოს და რა მასშტაბით, დამოკიდებულია კონკურსანტის არჩევანზე;
c. 3D ხედები (მაგ. რენდერები, მოდელის სურათები, ხელით გაკეთებული ესკიზები);
d. წერილობითი ტექსტი არაუმეტეს 300 გვერდისა.

ფაილის სახელი: A1_გუნდისსახელი.pdf (მაგ. თუ "გუნდისსახელი" არის 123, ფაილის სახელი უნდა იყოს A1_123.pdf)

2. n. 1 A3 ალბომი (420mm x 297მმ), .pdf ფორმატი (მაქსიმალური ზომა 10 მბ), ჰორიზონტალური განლაგება, მაქსიმუმ 7 გვერდი (დაფები). The
A3 ალბომი უნდა შეიცავდეს:

a. ერთი გენერალური გეგმა 1:2000 მასშტაბით;
b. მნიშვლელოვანი გეგმები 1:500 მასშტაბით;
c. მინიმუმ ერთი მნიშვნელოვანი კვეთა 1:500 მასშტაბით;

ფაილის სახელი : A3_ფაილისსახელი.pdf (მაგ. თუ "გუნდისსახელი" არის 123, ფაილის სახელი უნდა იყოს A3_123.pdf

გარეკანი .jpeg ან .png ფორმატი 1920x1080 პიქსელის ზომა.ეს უნდა იყოს შესაბამისი სურათი, რომელიც აჩვენებს პროექტს, რაც შემდგომში გახდება მისი ავატარი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის

კკონკურსში მონაწილეები ჯგუფების მიხედვით

1 ჯგუფი:

1. ანასტასია დევდარიანი anastaasiadevdariani893@gmail.com - ლიდერი
2. ლუკა ბედენაშვილი bedenashviluka@gmail.com
3. მიხეილ შუკვანი mikheilshukvani2023@gmail.com
4. ხარებავა ნინო kharebavanino7@gmail.com
5. ლომიძე მერი 2015meri.lomidzeebi@gmail.com

2 ჯგუფი:

1. იოსებ იოსელიანი josephioseliani11@gmail.com

2. ირაკლი ზურაშვილი - Irakli.zurashvili99@gmail.com
3. ოთო კუბლაშვილი oto.kublashvili@gmail.com
4. მარიამ მესტიაშვილი- mmestiashvili@gmail.com - ლიდერი
5. თეო კესერელი teonakesareli2000@gmail.com

3. ჯგუფი: - მენტორი მერაბ ბოლქვაძე

1. გოგოჩიშვილი მარიამი mgogochishvili@gmail.com (ლიდერი)

2. კუპრაძე თამთა - tamtakupradze09@gmail.com

3. ნავროზაშვილი სანდრო - sandronavrozashvili25@gmail.com

4. ბურდული ანი - aniburduli815@gmail.com

4. ჯგუფი - მენტორი მარიკა ფოჩხუა

1.ლიდერი -გოგავა გიორგი; gogava.g@gtu.ge

2.ნოე მეტრეველი; noemetreveli@gmail.com

3.ნინო ქარციძე;Kartsidzenino@gmail.com

4.ნიკოლოზ ლაცაბიძე; lacabidzenikoloz@gmail.com

5. ჯგუფი მენტორი ნინო იმნაძე

1. გოგიტა მეგრელიშვილი gogitam2@gmail.com - ლიდერი

2. გიგა ხეთაგური giga.xetaguri99@gmail.com

3.რომა აფციაური aptsiauri.roman@gmail.com

4.თორნიკე დოხნაძე dokhnadzetornike@gmail.com

6. ჯგუფი მენტორი დავით ბოსტანაშვილი

1.ზაურ გულიევი - zacguliev@gmail.com

2.ელენე კაკაჩია - Elenek.1998@gmail.com

3. ნათია დათუაშვილი datuashvili.natia@yahoo.com - ჯგუფის ლიდერი

4. ჯანსუღ კვანტალიანი - jakokvantaliani15041998@gmail.com

5. ნუკრი გოგოჩაშვილი gogochashvilinukri@gmail.com

7. ჯგუფი

1.ნინო კახეთელიძე Ninokakhetelidze2000@gmail.com - (ლიდერი)

2.ალექსანდრე ფოჩხიძე asandrexa@gmail.com

3. ნინო ჯიქიძე - jikidzenano@gmail.com

4.ნინო დავითაშვილი nini.davitashvili19@gmail.com

5.ნინო ბეგიაშვილი n17begiashvili@gmail.com

8 ჯგუფი მენტორი დავით ბოსტანაშვილი

1.ნია ხალვაში niakhalvashi@gmail.com

2.გვანცა ცხადაძე g.tskhadadze@gmail.com - ლიდერი

3.თეკლე გუჯაბიძე teklegujabidze@gmail.com

4.გრიგოლ ზოიძე gigizoidze@gmail.com

5.მარიამ პაპავა mariampapava01@gmail.com

9, ჯგუფი მენტორი პავლე ძინძიბაძე

1. თამარ კენჭოშვილი tkentchoshvili23@gmail.com - ლიდერი

2. გიორგი ხელაძე xeladzegiorgi93@gmail.com;

3. ზანაძე სერგი zanadzesergi@gmail.com.

4. ანა გლუნჩაძე ana.glunchadze25@gmail.com

5. ნიკო ჟორჟოლიანი - nikolozzii@yahoo.com

10. ჯგუფი

1. ბარბარე კიკილაშვილი Barbare.Kikilashvili@gmail.com (ლიდერი)

2. თაკო ხუციშვილი - takokhutsishviliarch@gmail.com

3. ერეკლე კერესელიძე - Erekle.kereselidze.1@iliauni.edu.ge

4. ნათია დაუთაშვილი - datuashvili.natia@yahoo.com

11. ჯგუფი

1.აფციაური თათული - afciauritatuli@gmail.com; tel:557480899 - ლიდერი

2.ინალიშვილი ჯაბა - blanck12072001@gmail.com

3.აბრამიშვილი თამთა - abramishvili.tt@gmail.com

4.მალხაზიშვილი თევდორე - malkazishvilitevdore@gmail.com

მენტორები: მერაბ ბოლქვაძე -bolqvadzemerab06@gtu.ge;

მარიკა ფოჩხუა - marikapo111@yahoo.com;

დავით ბოსტანაშვილი - d.bostanashvili@gtu.ge,

ნინო იმნაძე - n.imnadze@gtu.ge ,

არქიტეტურული კონკურსი: „ინდუსტრიული არქიტექტურის ტრანსფორმაცია“

2021 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდა არქიტეტურული კონკურსი „ინდუსტრიული არქიტექტურის ტრანსფორმაცია“. კონკურსის მიზანი იყო სტუ-ს პირველი კორპუსის შიდა ეზოს გარდასახვა საგამოფენო-სარეკრეაციო სივრცედ . გარდასახვის ობიექტი კი ეზოში არსებული უფუნქციოთ დარჩენილი წყლის საქაჩი კოშკი.

2021 წლის 15 დეკემბერს დასრულდა საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა, კონკურსში მონაწილეობა მიიღრეს ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტებმა.

გადაირჩა სულ 4 პროექტი.

მონაწილეები: სვეტლანა მუშლიანი, იოსებ იოსელიანი, ლუკა კაცოშვილი, თეკლა კანდელაკი, ბექა გოცაძე, თათული აფციაური, მარიამ სისაური, გიგა ხეთაგური, ანა ჯანაძე, სალომე ჯაფარიძე.

თათული აფციაური, მარიამ სისაური.

გ.ხეთაგური, ლ.კაცოშვილი, ი.იოსელიანი.

თეკლა კანდელაკი, ანა ჯანაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება საერთაშორისო კონკურსში

2021 წლის 29 ივლისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები საერთაშორისო კონკურსის - „არქიტექტურული პრემია 2021“ გამარჯვებულები გახდნენ. მაგისტრანტებმა - ანი შტააძემ და თორნიკე ქავთარაძემ ნომინაციაში - „სტუდენტური პროექტი“ მე-2 და მე-3 ადგილები დაიკავეს. გარდა ამისა, ანი შტააძე კომპანია „კაპიტელის“ რჩეული გახდა.

მაგისტრი ანი შტააძე, თემა: ქ. ფოთის ნავსადგურის სამგზავრო ტერმინალი“, ხელმძღვანელი ნინო იმნაძე

თორნიკე ქავთარაძის პროექტი - „კულტურის სახლი სოფელ ტყვიავში“ ფაკულტეტის პროფესორების - გიული გეგელიასა და ბესარიონ ტატიშვილის ხელმძღვანელობით, ანი შტააძის პროექტი „ქ. ფოთის ნავსადგურის სამგზავრო ტერმინალი“ კი ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ნინო იმნაძის ხელმძღვანელობით შემუშავდა.

მაგისტრი თორნიკე ქავთარაძე თემა: „კულტურის სახლი სოფელ ტყვიავში“ ხელმძღვანელები გიული გეგელია და ბესარიონ ტატიშვილი

აღსანიშნავია, რომ ამავე კონკურსზე, არქიტექტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდო გადაეცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პრფესორს, არქიტექტორ ვასილ ქობულიას.

როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე აცხადებს, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტურული სკოლაა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. რექტორის თქმით, ფაკულტეტისა და მისი სტუდენტებისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია კონკურსებში მონაწილეობა, რადგან ეს ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სტუდენტები პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ.

„ჩვენი უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები, გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით, ყოველწლიურად არაერთ პრესტიჟულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობენ და როგორც წესი, საპრიზო ადგილებს იკავებენ. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ჩვენმა მოტივირებულმა და ნიჭიერმა სტუდენტებმა სპეციალურად კონკურსებისთვის შექმნან პროექტები, ბევრი იმუშაონ, მეტად დახელოვნდნენ, გაითავისონ და აითვისონ თანამედროვე არქიტექტურისა და ურბანისტიკის აქტუალური ტენდენციები, მიიღონ მონაწილეობა კონკურსებში და არ შეუშინდნენ საკუთარი ნააზრევისა და ნამუშევრის საჯარო სივრცეებში წარდგენას. უნივერსიტეტი ყოველთვის შეუწყობს ხელს მოტივირებულ სტუდენტებს წინსვლასა და ახალი პროექტების შემუშავებაში. ფაკულტეტის პედაგოგები კი ყოველთვის მზად

არიან, პროექტირების პროცესში მათ საჭირო რჩევები მისცენ. არქიტექტურულ კონკურსებში ყოველი ჩვენი სტუდენტის წარმატება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული სკოლის დიდი წარმატებაა“, - აღნიშნავს რექტორი დავით გურგენიძე.

კონკურსი „არქიტექტურული პრემია 2021“ თბილისის მეცხრე საერთაშორისო არქიტექტურის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა. კონკურსში ქართველი და უცხოელი არქიტექტორები ასევე, უმაღლესი არქიტექტურული სკოლების სტუდენტები მონაწილეობდნენ. ფესტივალსა და კონკურსს ორგანიზება „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციამ“ და ჟურნალ STYLE-მა გაუწიეს.

ანი შტაადე



დაჯილდოება

არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება

არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება

2021 წლის 25 ნოემბერი
საქართველოს არქიტექტორთა კავშირში გაიმართა 2021 წლის სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა - კონკურსი .
საკონკურსო ჟიურის მიერ სხვადასხვა ნომინაციებში
გაიცა სპეციალური დიპლომები :
1. ნომინაცია „მოცულობითი არქიტექტურა“
„არჩილ და ქეთევან ქურდიანების“ პრიზი და დიპლომი.
- გიორგი ქემოკლიძე - „ ქუთაისის რკინიგზის სადგური“.
ხელმძღვანელი : ვასილ ქობულია
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი).
2. პირველი პრემია: თორნიკე ქავთარაძე -„კულტურის ცენტრი ფასანაურში“.ხელმძ. ვასილ ქობულია. - ნომინაცია- მოცულობითიარქიტექტურა
(საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი)



2. ნომინაცია „ქალაქთგეგმარება“

„გიორგი შაიშმელაშვილის‘‘ სახელობის დიპლომი

- თამარ ხუციშვილი - „კასპის განვითარების ქალაქმშენებლობითი კონცეფცია“

ხელმძღვანელი ნინო ჩხეიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი).





3. სპეციალური დიპლომები

- იმედა ქოჩალაძე - „სტადიონი“ ქ. ქუთაისში
ხელმძღვანელი გია ნადირაძე
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი).
- თამარ გურგენიძე
ხელმძღვანელი ნანა ქუთათელაძე და ზურაბ ნემსაძე
(თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი)

პროფესორების აღიარება

2021 წლის 25 ნოემბერს ქართული არქიტექტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის არქიტექტორებს გიორგი სალუქვაძეს და ოთარ ნახუცრიშვილს მიენიჭათ რაინდის წოდება!

სტუ- ს არქიტექტურის,ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი ულოცავს ბატონ გიორგი სალუქვაძეს და ბატონ ოთარ ნახუცრიშვილს ამ ჯილდოს! უსურვებს წარმატებებს და ჯამრთელობას!

საერთაშორისო ფორუმი: „ახალი ურბანული ტოპოლოგიების ფორუმი 2“

ქართულ-შვეიცარიული პროექტი.

2021 წლის 1-4 დეკემბერი.

„ახალი ურბანული ტოპოლოგიების ფორუმი 2“ შვედეთის სტოკჰოლმის ხელოვნების, არქიტექტურისა და საზოგადოების ცენტრის „ფარგფაბრიკენის“ ორგანიზებით ტარდება. ეს შვედი კოლეგების თბილისში რიგით მე-2 სტუმრობაა.

ფორუმზე ურბანული დაგეგმარების საკითხები განიხილება, მათ შორისაა მიტოვებული ინდუსტრიული შენობებისა და სკვერების განვითარების პერსპექტივა.

წლევანდელ ფორუმში, რომელსაც ამჯერად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მასპინძლობს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები: თეო კესარელი, ნიკა ადამია, სანდრო ფორჩხიძე, მარიამ მესტიაშვილი, ანი გოშთელიანი, ნიკოლოზ ლაცაბიძე და ნოე მეტრეველი მონაწილეობენ. ჯგუფის ორგანიზატორები და მენტორები დავით ბოსტანაშვილი და მარიკა ფოჩხუა.

მომავალ წელს ფორუმს ჩვენი ფაკულტეტი უმასპინძლებს.

ინფორმაცია შეგიძლიათ გაეცნოთ: https://www.youtube.com/watch?v=dlZY4P4CAYw

ფოტოგალერეა

Rittenberg

საერთაშორისო ფორუმი: „ახალი ურბანული ტოპოლოგიების ფორუმი 2“

ქართულ-შვეიცარიული პროექტის დასკვნითი ნაწილი

2021 წლის 4 დეკემბერს დასრულდა **„ახალი ურბანული ტოპოლოგიების ფორუმი 2“**. სტუდენტებმა წარადგინეს საბოლოო პროექტები და დაჯილდოვდნენ სერთიფიკატებით







სემინარი: „უნივერსალური პროექტირება - გამოწვევები არქიტექტურისთვის“

2021 წლის 4 დეკემბერს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა სემინარი: „უნივერსალური პროექტირება - გამოწვევები არქიტექტურისთვის“. სემინარი მიეძღვნა შშმ პირების საერთაშორისო დღეს, რომელიც ყოველწლიურად იმართება 3 დეკემბერს. სემინარი მიზნათ ისახავდა სტუდენტებში ცნობიერების ამაღლებას და პრობლემის გააზრებას.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის საფეხურის 3 კურსის სტუდენტებმა (61904, 61905 და 61906 ჯგ.) სტუდენტების მიერ მომზადდა მოხსენებები და პრეზენტაციები, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად. თვითოეული გამომსვლელი წარმოაჩენდა საკუთარ დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხის მიმართ. განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა უნივერსალური დიზაინი ურბანულ სივრცეში, შშმ პირის თვალით დანახული თბილისური ქუჩები, სრულიად ადაპტირებული არქიტეტურული ობიექტები, საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცეები, მიგნებები არქიტეტქურაში, შეზღუდვები, რომლებსაც ვქმნით ჩვენ - შეზღუდული სივრცეები, არქიტეტურა ყველასატვის, შშმ პირებზე მორგებული ქალაქები, საკუთარი გადაწყვეტები და სხვა. სულ წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი მოხსენება. სემინარის მიზანია ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში.

„უნივერსალური არქიტექტურა ურბანულ სივრცეში“ - გიორგი გოგავა, მარიამ აბჟანდაძე, მარიამ ბედოშვილი; 3 კურსი 61904 ჯგ.





„შშმ პირის მიერ თვალით დანახული თბილისის ქუჩები“ თინათინ თერგიაშვილი ჯგ. 61905





უნივერსალური დიზაინი მიგნებები არქიტექტურაში - თეკლე გუჯაბიძე, გვანცა ცხადაძე, მარიამ ხალვაში, გიგი ზოიძე





„შეზღუდვები რომლებსაც ვქმნით ჩვენ - შეზღუდული სივრცეები“ - მარიამ გოგიაშვილი, ანა კუჭაშვილი 61905 ჯგ.





„არქიტექტურა ყველასთვის“ - ანა გოცირიძე - 61904 ჯგ.





„შშმ პირების ცნება“ ანანო გრიგოლია 61905 ჯგ





შშმ პირები და არქიტექტურა - მარიამ კერესელიძე, ქეთი ქევხიშვილი, დათო ფეტვიაშვილი. 61904 ჯგ.





ადაპტირებული ქალაქი არადეპტირებულ გარემოში - ნინო ქარციძე 61904 ჯგ





შშმ პირები არსებული პრობლემები და გამოწვევები - მაკა ინიაშვილი 61906 ჯგ.





არაადაპტირებული გარემო - ნიკა ჯანგოიანი, გიორგი გობეჯიშვილი - 61905 ჯგ.





სემინარის მასალებზე მომზადდება ელექტრონული ჟურნალი, რომელიც დაიდება ფაკულტეტის ვებგვერძე.

სემინარის ორგანიზებულია არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მხარდაჭერით. ხელმძღვანელი ნინო იმნაძე.

კორონავირუსის ინფექციის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისთვის სემინარი ჩატარდა ონლინ რეჟიმში.

ქ. დუბაის, მანიპალის უმაღლესი განათლების აკადემიის, არქიტეტურის და დიზაინის სკოლის პროფესორების და სტუდენტების ვიზიტი არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის სტუმრები ფაკულტეტზე

2021 წლის 15 დეკემბერს სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს ეწვია ქ. დუბაის მანიპალის უმაღლესი განათლების აკადემიის (MANIPAL ACADEMY of HIGHER EDUCation Dubai Campus) არქიტეტურის და დიზაინის სკოლოს დოქტორი, პროფესორი აშოკ განაპატი ლეიერი და მისი 52 სტუდენტი, ასევე არქიტეტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგეგბი. ვიზიტის მიზანი იყო მჭიდრო თანამშრომლობის დაწყება, გაცნობა საგანამანათლებლო პროგრამების და მომავალი ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც მოიცავს როგორც ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას ასევე არქიტეტურული ვორქშოფების დაგეგმვას.

სტუმრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტი, სადაც მოწყობილი იყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა სხვადასხვა მიმართულებით: სახვითი ხელოვნება, არქიტეტურული კომპოზიციები, არქიტეტურული პროექტები: შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა, ურბანული, გარემოს დიზაინის და ინტერიერის მიმართულებით, ასევე გაეცნენ არქიტეტურის თეორიის სწავლების ორიგინალურ მეთოდს, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე ხორციელდება. სპეციალურად სტუმრებისთვის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა წაუკითხა ლექცია

არქიტეტურული პოეტიკის შესახებ და წარუდგინა სტუდენტთა ნამუშევრები, რომელიც ხორციელდება არქიტექტურული პოეტიკის სტუდიაში. ფაკულტეტის დეკანმა წარუდგინა პრეზენტაცია ფაკულტეტის ისტორიის და მისი განვითარების შესახებ. ბოლოს სტუმრებს გადაეცათ სამსახსოვრო საჩუქრები ფაკულტეტის ისტორიის ამსახველი ბუკლეტი და წიგნი „ქალაქები - ვიზუალური გზამკვლელვი“.

წიგნის პრეზენტაცია - “Cultural Heritage and Urban health New perspectives for cultural Heritage preservation and Urban development in Tbilisi

An open dialogue between Georgia and Italy”



2021 წლის 14 დეკემბერს, იტალიაში საქართველოს ახალგაზრდა ელჩის, მარიამ ბოჭორიშვილის ინიციატივითა და იტალიაში საქართველს საელჩოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, გაიმართა წიგნის პრეზენტაცია სახელწოდებით:

“Cultural Heritage and Urban health . New perspectives for cultural Heritage preservation and Urban development in Tbilisi. An open dialogue between Georgia and Italy”

ახალგაზრდა ელჩის მარიამ ბოჭორიშვილის ორგანიზებითა და Politecnico di Milano-ს აკდემოური პერსონალის, კერძოდ კი პროფესორ ნორა ლომბარდინის ძალისხმევით წიგნი გამოიცა ქალაქ რომში, გამომცემლობა Aracne editrice-ს მიერ.

წიგნში შესულია წამყვანი ქართველი, მათ შორის სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორი ნინო იმნაძის და იტალიელი არქიტექტორებისა და ასევე სხვადასხვა სფეროს წამყვანი სპეციალისტების ნაშრომები,რომლებიც გააერთიანა თემებმა, როგორებიცაა: ახალი პერსპექტივები კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში, რესტავრაცია-

კონსერვაცია, ურბანული ჯანრთელობა. საქართველოსა და იტალიას შორის არსებული აკადემიური კავშირები და მათი განვითარების შესაძლებლობები.

ღონისძიებას ესწრებოდა როგორც ქართველი, ასევე იტალიელი აუდიტორია.

ასევე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წმინდა საყდართან, ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი და საელჩოს წარმომადგენლები.

ღონისძიებას ონლიან პლატფორმის საშუალებით დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს, როგორც ქართველმა, ასევე იტალიელმა მომხსენებლებმა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების დასრულების შემდგომ გამოიკვეთა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებიც.

წიგნის შეძენა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით:

http://www.aracneeditrice.it/.../pubblicazione.html...



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტეტურის და ქალაქთმშენებლობითი თანამედროვე პრობლემები“

2021 წლის 27 დეკემბერს გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია:“არქიტეტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, დისტანციურად ზუუმ პლატფორმის საშუალებით.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და დოქტორანტებმა. მათ მიერ წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი აქტუალური საკითხები და მათი გადაჭრის გზები. განხილული იყო ისეთი თემები, როგორიცაა: ურბანულ – სოციალური და ეკონომიკური განვითარების გამოწვევები სამცხე-ჯავახეთის მთიან რეგიონში (ტაბაწყურის მაგალითზე), 1990-იანი წლების არქიტექტურული გეგმარების სტრუქტურების შედარება 2021 წლის თანამედროვე მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებთან ქ. თბილისის მაგალითზე, მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასისა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, მეთოდოლოგია და შედარებითობა არსებული მდგომარეობით, ლანდშაფტური არქიტექტურის ლინგვისტიკის თავისებურებანი ეროვნული მენტალიტეტის კონტექსტში, თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან მუშაობა და არქიტექტურული ძეგლების ქალაქ ფორმირების პოტენციალი, მასშტაბური ეპიდემიები, როგორც ქალაქის ეკოლოგიური სისტემის გამოწვევა, მაღლივი შენობების ქალაქგეგმარებითი და აეროდინამიკური თავისებურებანი და სხვა. სულ გაკეთდა თვრამეტი მოხსენება.













სტუდენტური კონკურსი: „სანტას სახლი“

2021 წლის 15 დეკემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ვორქშოფების და საკონკურსო პროექტების ორგანიზების ჯგუფის მიერ გამოცხადდა კონცეპტუალური პროექტი: „სანტას სახლი“.

კონკურსი არის ერთის მხვრივ სახალისო, ამავე დროს მნიშვნელოვანი, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ კონცეპტუალური და შემოქმედებითი აზროვნება. აღნიშნული პროექტი მიეკუთვნება არქიტექტურული ფანტაზიის მიმართულებას. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2022 წლის 15 იანვარს. იმავე დრეს მოეწყობა ნამუშევრების გამოფენა. გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადეცემა სეთიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები. პლაკატის ავტორი ასოც. პროფესორი დავით ბოსტანაშვილი. კონკურსში შეუძლია მონაწილეობა მიიროს საქარტველოში არსებული ყველა არქიტეტურული ფაკულტეტის სტუდენტს.

მოთხონები კონკურსანტებისათვის: მნიშვნელოვანია პროექტი შესრულდეს ა2 ფორმატზე, შესრულება თავისუფალი. კრიტერიუმი: კომპოზიციის სიმძაფრე, უნიკალურობა, ფანტაზია.

საკონკურსოდ შემოვიდა სულ 24 პროექტი. უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსში მონაწილეობა მიირეს საქარტველოში არსებულმა სხვა უნივერსიტეტების არქიტეტური სტუდენტებმა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქარტველოს უნივერსიტეტი და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა.

საპრიზო ადგილებისთვის გადაირჩა სულ 8 პროექტი, ადგილები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

ორი პირველი ადგილი



ქეთევან ჯაფარიძე

ვანო გვენცაძე

ორი მეორე ადგილი

იოსებ იოსელიანი

მეგი ქოქაშვილი

ორი მესამე ადგილი

გიორგი გოგავა



ჟიურის რცეული



ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი. გამარჯვებულებს -სერთიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები.

ჟიური:

ნინო იმნაძე

მარიკა ფოჩხუა

დავით ბოსტანაშვილი

შოთა გელაშვილი

საინფორმაციო უზრუნველყოფა: შოთა გელაშვილი

პლაკატის ავტორი: დავით ბოსტანაშვილი

ნამუშევრების კოლაჟი



ალექსი ხარატიშვილი ლუკა სამხარაძე ნიკა ადამია

ლუკა კაციაშვილი ნინო დავითაშვილი

2021 წლის კურსდამთავრებულები